საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 642

17 07 2018 წ.

ქ. თბილისი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თარჯიმნებისა და რედაქტორების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2018 წლის 05 ივლისის №866170 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2018 წლის 17 ივლისიდან 2018 წლის 23 ივლისის ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომაში - ცენტრი) 5 თარჯიმნისა და 2 რედაქტორის შერჩევის მიზნით.

2. ცენტრის თარჯიმნებისა და რედაქტორებისათვის დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. მინიმალური განათლება - ბაკალავრი;

2.2. სამუშაო გამოცდილება - ინგლისურენოვან დოკუმენტაციასთან მუშაობის გამოცდილება, ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის გამოცდილება;

2.3. კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office) კარგად ცოდნა;

2.4. ქართული და ინგლისური ენების ძალიან კარგად ცოდნა (C1);

2.5. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ კონტექსტში გამოყენებული ტერმინებისა და მათი დეფინიციების ცოდნა;

ბ) სამუშაო დოკუმენტების შინაარსში სწრაფად გარკვევის უნარი;

გ) ლოგიკური აზროვნების უნარი;

დ) ინფორმაციის სწრაფად მოძიების უნარი;

ე) დეტალებზე ორიენტირებულობის უნარი;

3. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განაცხადების გადარჩევა;

ბ) წერითი დავალება.

4. შესასრულებელი სამუშაო:

4.1. თარჯიმნების შესასრულებელ სამუშაოს წარმოადგენს - საავტორიზაციო და სააკრედიტაციო მასალების ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე ასევე, ინგლისური ენიდან ქართულზე თარგმნა, ცენტრში არსებული სერვერული და კომპიუტერული თარგმნის პროგრამის SDL trados 2017-ის საშუალებით.

4.2. რედაქტორების შესასრულებელ სამუშაოს წარმოადგენს - ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე ნათარგმნი ტექსტების რედაქტირება;

5. კონკურსის შედეგად საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

6. კონკურსში მონაწილე პირმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: www.info@eqe.ge - უნდა წარმოადგინოს:

ა) ავტობიოგრაფია (CV) ქართულ ენაზე, სადაც აღნიშნული იქნება კანდიდატის სამუშაო გამოცდილება და მითითებული არანაკლებ ორი რეკომენდატორი, მათი თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რითაც დასტურტება მისი მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის ფაქტი.

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) აუცილებელია ელექტრონული ფოსტის სათაურის ველში (Subject) მიუთითოთ ვაკანსიის დასახელებას (თარჯიმანი ან რედაქტორი.)

7. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების მიზნით ამ ბრძანების საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსათვის მიწოდების უზრუნველყოფა.

8. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე